

დამტკიცებულია  
შპს „სისტემა გამას“  
ადმინისტრაციული დირექტორის  
29 „04“ 2010 წ. № 3/1  
ბრძანებით



## საჩივრების განხილვის კომისიის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საჩივრების განხილვის კომისია იქმნება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 67-ე მუხლის საფუძველზე, მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტურად განხილვის გამჭვირვალე პროცედურისა და მათზე დროული და დასაბუთებული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

### 1. კომისიის ძირითადი ამოცანები

კომისიის ძირითადი საქმიანობაა:

მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტურად განხილვის გამჭვირვალე პროცედურისა და მათზე დროული და დასაბუთებული რეაგირების უზრუნველყოფა.

### 2. კომისიის უფლება-მოვალეობანი

1. კომისიამ უნდა უზრუნველყოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 6-ე მუხლის შესაბამისად შემოსულ საჩივრზე გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს განხილვის გამჭვირვალე პროცესი.
2. საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, კომისია ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, კომისია ვალდებულია ითანამშრომლოს სააპელაციო კომისიასთან.
4. კომისია ვალდებულია წელიწადში ერთხელ მოამზადოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარსადგენად შემოსული საჩივრების განხილვის, მიღებული გადაწყვეტილებების და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, რეაგირების შესახებ დეტალური ანგარიში.
5. სააპელაციო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და შეუძლია ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა ხოლო კომისიის გადაწყვეტილება- დასაბუთებული.
6. სააპელაციო კომისია დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.
7. სააპელაციო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, იგი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.
8. საჩივრის განხილვისას სააპელაციო კომისიამ უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.
10. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

### 3. კომისიის შემადგენლობა

1. ნ.სანებლიძე,
2. ც.ტოლიაშვილი,
3. გ.სპანდერაშვილი.